

წყალდიდობები და მათი კლასიფიკაცია

გიორგი ბრეგვაძე

ელ-ფოსტა: giorgi.bregvadze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, 0179, თბილისი, საქართველო

ადამიანები საცხოვრებელ სახლებსა და ტექნიკურ ნაგებობებს ხშირად აშენებენ მდინარეების, ტბებისა და ზღვის სანაპირო ტერიტორიებზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიებზე გაზრდილია ბუნებრივი კატასტროფების საშიშროება, მათ შორის კი წყალდიდობების. წყალდიდობის ქვეშ იგულისხმება მიწის ზედაპირის წყლით სტიქიურად დატბორვა და ნაპირებიდან გადმოსვლა, ინტენსიური ნალექებისა და თოვლის დნობის შედეგად.

წყალდიდობის კლასიფიკაცია, მათი წარმოქმნის მექანიზმი, პირობები და ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტორები განსაზღვრავენ წყალდიდობის სივრცულ მასშტაბს, ინტენსივობასა და ხანგრძლივობას. ამ ფაქტორების კლიმატური ცვლილება - დაკვირვებული და მოსალოდნელი მომავალში - იწვევს და გამოიწვევს სათანადო ცვლილებებს წყალდიდობის ხასიათში, რომელიც შეიძლება შეფასდეს რაოდენობრივი თვალსაზრისით.

სანაპირო რაიონების სამეურნეო ათვისება, მდინარეთა მაღალი წყლიანობის პეროდში, მნიშვნელოვნად ზრდის დატბორვისა და მატერიალური ზიანის რისკს. წყალდიდობისაგან გამოწვეული ზიანის მოცულობა დამოკიდებულია მთელ რიგ მიზეზებზე, როგორცაა წყლის საშიში დონის სიმაღლე და ხანგრძლივობა, დატბორილი ტერიტორიის ფართობი და წლის დრო, როდესაც ხდება წყალდიდობა, წყალდიდობის დროულ და ზუსტ პროგნოზირებას დიდი მნიშვნელობა აქვს მისგან გამოწვეული არასასურველი შედეგების შესარბილებლად.